

ჩემი უბრუნოვარი აღმშენებლობითი კანონი 11 მაისს

საღიგებულებო და. ხათ

ხონჯო დამახინი



11 მაისს
3 კად.

606

№ 2

№ 1

3 მაისს

7-70

ჩემი ყველაზე დიდებულად ჩემთვის 11 მაისს

საღიტურბურთა და. ხათ

სუნჯთ აღმნახი

11 მაისს

ფანი 3 კაბ.

დეკემბერი, 1910 წ.

606

აღმნახი

აღმნახი



№ 2

Handwritten notes in the left margin

1170



Handwritten notes in the right margin, including a red signature

სატრფოს მკლღ

ა ჳ ე ა ნ ი (ბოკაჩიოდან).

მუნიონის ველზე ცხოვრობდა ერთი კაცი, რომელთანაც მგზავრები გავლის დროს ფასით ისაუბრებდნენ ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ პატარა სახლში სცხოვრობდა, ზოგჯერ მგზავრები ღამითაც რჩებოდნენ მასთან, მხოლოდ, რასაკვირველია, ნაცნობნი და არა ისეთები, რომელთაც პირველად ხედავდა. ამ კაცსა ჰყავდა მეტის მეტად ღამაზი ცოლი და ქალი-ვაჟი: გასათხოვარი ქალი, ხუთმეტ-თექვსმეტი წლისა და ძუძუმწოვარა ბავშვი.

გასათხოვარმა ქალმა მიიქცია ყურადღება ერთის ქაბუკისა, რომელიც გარეგნობით მშვენიერი იყო და თავიც კარგად ეჭირა. მაღლი-მაღლ დადიოდა იმათ სახლში და ბოლოს შეუყვარდათ კადეც ერთმანეთი. ხშირად შეეყვარებულნი ნეტარ წუთს უახლოვდებოდნენ, მაგრამ პუნიჩიო (ისე ეძახდნენ ყმაწვილს) დროზედ შეიმაგრებდა ხოლმე თავს, რადგანაც ახალგაზდა ქალის შერცხვენას ერიდებოდა და თავის თავისასაც. რაც ხნივადიოდა, მით უფრო იზრდებოდა მათში სიყვარულის გრძობა და პუნიჩიოს მოესურვა მასთან დაკავშირება. შეუღლა იმის მოფიქრებას, თუ როგორ მოეხერხებინა, რომ იმის მამას მიეღო თავის სახლში ღამის გასათევად და შეხვედროდა ქალს ისე, რომ არავის არ შეენიშნა. დაეჭადა თუ არა ეს აზრი, მსწრაფლად შეუღლა შესრულებას.

ერთხელ თავის ერთგულ მეგობარ ადრიანოსთან ერთად, რომელსაც თავისი ზაიდუმლო გაუზიარა, გაემგზავრა ფლორენციაში და დაიქირავა ორი ცხენი, გადაჰკიდა ორი ჭამოდანი და გაუღდა გზას. კარგა ხნის მგზავრობის შემდეგ მუახლოვდნენ მუნიონის ველს; უკვე დამებული იყო. აქ მოაბრუნეს ცხენები, ვითომ რომანიიდან მოდიოდნენ, გააჩერეს სასტუმროსთან ცხენები და გამოუძახეს გარეთ სახლის პატრონს. სახლის პატრონი კარგად იცნობდა ორივეს და იმ საათშივე გაუღო კარი.

— გამგონე, — მიმართა პუნიჩიომ, — ეს ღამე შენთან უნდა გავათიოთ როგორმე, რადგანაც ცხენები დაგვეღალდნენ და იმის მაგიერათ რომ ეხლა ფლორენციაში ვიყოთ, აქამდე ძლივს მოვალწიეთ!

— კარგად იცი, ჩემი პუნიჩიო, — უპასუხა სახლის პატრონმა, — რომ თქვენისთანა პირთ შესაფერისად ვერ დავზღებო, მაგრამ რადგანაც მეტად დაგვიანებულია და სხვაგან წასვლა აღარ შეგიძლიანთ, სიამოვნებით მიგინებთ ჩემს ქერ ქვეშ, მხოლოდ ნუ დამედურებით, თუ ისე ვერ დავიხვდებით, როგორც გეკადრებათ, ყმაწვილები ჩამოხტნენ ცხენებიდან, გაასუფთავეს თავისი ოთხფეხა თანამგზავრები, დაუყარეს საქმელი და შემდეგ სახლის პატრონთან ერთად წავიდნენ სავანშობლად, რომელსაც თან მოტანილ საქმელებით გაუმასპინძლდნენ. სახლის პატრონი ერთს პატარა ოთახში სცხოვრებდა, სადაც სამი კრავატი დასდგა, რომლებს შორის თითქმის აღარც კი ღარჩა ცარიელი ადგილი; ორი კრავატი ერთ კედელთან იდგა და მესამე პირდაპირ მეორე კედელთან ისე, რომ შუაში ძლივს მოახერხებდა კაცი გავლას. სახლის პატრონმა საუკეთესოდ გაწყობილი კრავატი შესთავაზა სტუმრებს. ცოტა ხნის შემდეგ დაუძახა ქალს დასაძინებლად, რადგანაც ეგონა, რომ სტუმრებს უკვე ეძინათ, ნამდვილად კი სტუმრებსა განგებ მოიძინარეს თავი. ქალი ერთს კრავატიც დაწვა და მესამეზე სახლის პატრონი თავის ცოლით, რომელმაც იქვე საწოლთან ბავშვის აკვანი დასდგა. პუნიჩიომ ყოველივე ეს კარგად შენიშნა. რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც პუნიჩიომ ეგონა, რომ ყველას სძინავს, ჩუმად ადგა, გაემართა ქალის საწოლისკენ და შეუტურდა ლოგინში. ჯერ კიდევ შეშინდა ქალს, მაგრამ შემდეგ სხარულით მიიღო ყმაწვილი, ისე რომ ეხლაკი შეეძლოთ ფეხმათ ის სანეტარო სიტყვებზე, რომელიც ყველაფერზე ძლიერ სწყურდათ.

პუნიჩიო როდესაც ამ განცხრომაში იყო, კატამ რაღაცა გადმოავლო. ხმაურ-ბაზე დიასახლისს გამ-ეღვიძა და სანთლის აუთებლივ გაემართა იქითკენ, საიდანაც ხმაურობა მოესმა.

ამავე დროს აღრიანოც, რომელსაც არავითარი ცული განზრახვა არა ჰქონდა, ადგა ლოგინიდან ერთგვარ ბუნებრივ-საქიროების დასაკმაყოფილებლათ. მაგრამ გზაში აკვანს წააწყდა, რომელიც დიასახლისმა დადგა. ბევრი არ უფიქრია აღრიანოს, აიღო ის აკვანი და გადადგა იმ საწოლისკენ, რომელზედაც თითონ იწვა. როდესაც განთავსდა იმისთან, რისთვისაც ადგა, დაბრუნდა და ჩაწვა თავის ლოგინში, აკვანს კი ყურადღებაც არ ჰმიაქცია. დიასახლისმა რა ნახა, რომ არაფერი არ იყო გაფუჭებული, კატა გაავდო და დაბრუნდა ოთახში ისევ უსანთლოდ. ფრთხილად მივიდა ქმრის საწოლთან, მაგრამ აკვანი რომ არ დახვდა, თავისთვის გაიფიქრა:

— რა სულელი ვარ! რასა ვჩადივარ! კინაღამ ღმერთი არ გამიწყრა და ჩვენს სტუმრებს არ ჩაგუწყეკი? გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და აკვანს რომ წააწყდა, იქვე მდგომ კრაფატზე დაწვა. იმას ეგონა ქმართანა წვებოდა, მაგრამ ნამდვილად კი სტუმარ აღრიანოს მოუწვა გვერდით.

აღრიანოს ჯერ არ ეძინა და ამიჯომ სიამოვნებით მიიღო ახალგაზდა ქალი. ხმის ამოუღებელივ რამდენჯერმე შეასრულა თავისი მოვალეობა და ამით დიდი სიამოვნება ატრძნობინა ახალგაზდა ქალს. როდესაც პინუჩიო უსაზღვროდ დაკმაყოფილდა თავის საყვარელ არსებასთან ყოფნით, ადგა რომ თავის ადგილზე დაბრუნებულიყო, მაგრამ რაკი აკვანი შენიშნა, იმას ეგონა სახლის პატრონის საწოლიაო, უკან დაიწია და პირდაპირ სახლის პატრონს კი მიუწვა გვერდით, პინუჩიოს ეგონა, რომ აღრიანოსთან იწვა და აღტაცებით უთხრა:

— პატრონებსას გეფიცები, რომ ლიზეტასთანა მშვენიერი ქალი დედამიწის ზურგზე ჯერ არ დაბადებულა! დამკრახ გეფიცები! ისეთი სიტკბოება ვიგეგე იმისაგან, როგორც, ეგონე, ჯერ არც ერთს მამაკაცს არ უგემნია ქალისაგან. გულ-ახდილად გეუბნები, რომ ასეთი ბედნიერება ჯერ არა მღირსებია.

ეს სიტყვები არაფრად არ ექაზნია სახლის პატრონს და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— რომელმა ქაჯმა მოათრია, რა უნდა აქა?

მაგრამ შემდეგ მეტად გაბრაზდა და მოთმინებიდამ გამოსულმა დაიყვირა:

— დიდი არამზადა ყოფილხარ, პინუჩიო; არ ვიცო რითი დავიმსახურე შენი მაგეთი საქციელი, მაგრამ ვფიცავ, რომ სამაიეროს გადაგიხდის!

პინუჩიო ვერ იყო მხეჩებულო ყმაწვილი. იგრძნო რომ საწოლი აერია, და იმის მაგიერათ, რომ თავი როგორმე დაეძვრინა, პირდაპირ ჰკითხა:

— რითი გადამიხდი? რას მიხამ?

სახლის პატრონის ცოლს ჯერ კიდევ ეგონა რომ ქმართან იწვა და ჰკითხა აღრიანოს.

— გესმის, ჩვენი სტუმრები ეგონებ ჩხუბობენ?

— დეე, იჩხუბონ, — უპასუხა აღრიანომ, — წუხელის ცოტა მეტი გადაჰკრეს.

აღრიანოს ხმა რომ გაიგო, იმწამსვე მიხვდა სად იყო და ვისთანაც იწვა. როგორც ქვეანი დედაკაცი, ხელად წამოხტა, დაავლო აკვანს ხელი და სიბნელის წყალობით შეუმჩნევლად მივიდა თავის ქალის საწოლთან. აკვანი გვერდით დადგა და თითონ თავის ქალს ჩაუწვა. შემდეგ თავი ისე მოაჩვენა, ვითომ ხმაურობაზე გამოეღვიძა და გადასცხა ქმარს და ჰკითხა, რაზედა ხმაურობდა.

— განა არ გესმის, — უპასუხა ქმარმა, — ეს ვაჟბატონი მიაშობს იმას, რაც ეს არის ეხლა ჩემს ქალს უყვარს ჩემი შეყვარებული.

— სტყუის, სულ სტყუის, — უპასუხა ცოლმა, — მას აქეთ სულ ჩემ ქალთანა ვწევარ და ერთი წუთიც არა მძინებია. შენც სულელი ხარ, რომ მაგისი სიტყვები გჯერა. სადამოთი ისე გამოთვრებით ხოლომე, რომ ღამე ათასნაირი სისულელე გელანდებათ ძილში. მიკვირს, რატომ კისტრს არ იტებთ. მაგრამ ერთი ეს მითხარი, რა უნდა შენთან პინუჩიოს და რატომ თავის ლოგინში არა წევს?

აღრიანო მიხვდა, რომ ძალიან მოხერხებით დაფარა სახლის პატრონის ცოლმა თავისი შერცხვენა და ქალის გაუპატივება, და

თითონაც ჩაერია ლაპარაკში.

— პინუჩიო, რამდენჯერ მიტყუამს შენთვის, რომ ნუ დგები ხოლმე შენის ლოგინიდან მეთქი, რათა გაქვს ჩვეულება, რომ ადგები ხოლმე მძინარე და ყოველივე სისულელესა რომავე, რაც კი დაგესიზმრება და გგონია რომ ყოველივე ნამდვილია? ერთხელაც იქნე-



რაფაელის ნახატი.

ბა მაგის გამო დიდს უბედურებას წააწყდები. დაბრუნდი ისევ ჩემთან; აი შე ეშმაკის კერაკო, შენა!

თავისი ცოლისა და ადრიანოს სიტყვები რომ მოისმინა, სახლის პატრონმა ნამდვილად დაიჯერა, რომ პინუჩიომ ყოველივე მძინარემ უამბო, დაუწყო ნჯღრევა და უთხრა;

— გაიღვიძე პინუჩიო, დაბრუნდი შენს ლოგინში!

პინუჩიომ ყველაფერი გაიგო რაც კი ილაპარაკეს; ამიტომ მოაჩვენა თავი, ვითომ მართლა ბოდავდა და იმდენი სისულელი წა-

მროშა, რომ სახლის პატრონს სიცილისაგან მტკვლი ასტკვიდა. ბოლოს რაკი აღარ მოეშვენ და ისევ ანჯღრევდნენ, გაიღვიძა და ადრიანოს ჰკითხა?

— რათ მაღვიძებ, განა უკვე გათენდა?

— ჰო.— უპასუხა ადრიანომ, მოდი აქ!

პინუჩიო იდგა სახლის პატრონის ლოგინიდან ისე, თითქოს ჯერ კიდევ ვერ იყო გამორკვევული ძილისაგან და დაბრუნდა ადრიანოსთან. გათენდა. როდესაც ყველანი წამოიშალნენ, სახლის პატრონი იცინოდა პინუჩიოზე და იმის სიზმრებზე. ისევე სიცილში და ხუმრობაში შეკაზმეს ყმაწვილებმა ცხენები, გადაჰკიდეს ჩემოდანები, ცოტაოდენიც გადაჰკრეს სახლის პატრონთან ერთად დასრულიად კმაყოფილი ამ შემთხვევით და მისი შედეგით, ფლორენციისაკენ გაემართნენ. შემდეგში პინუჩიო სხვა საშუალებით ახერხებდა ხოლმე ლიზეტასთან ყოფნას, რომელმაც დაარწმუნა დედა, რომ სტუმარს ყოველივე დაესიზმრა. ამიტომ, როცა კი მოაგონდებოდა სიზმრებს ადრიანოს ხვეწნა აღერსი და სიტკბოება ასე ეგონა ხოლმე. თითქოს იმ დამეს მარტო იმის ელვია.



*
* *

(ძველი რეველიდან).

ტურფავ, ტურფავ, ვარდა შენსა
მოცემულსა სანუკვარად
თავს ვეველები აღტაცებით,
ვალმერთებ და ვეტრფი მარად.

იგი ამკობს ჩემს სიცოცხლეს,
გამხდომია საფიცარად,
სიხარულსა მისაცეცებს,
ქირში დამდევს მშვეველ ფარად.

გულზედ ხატად მისვენია
დავკანკალებ ვით ფარვანა,
მას სიცოცხლით ვინ წამართმევს
ეშმა იყოს გინდ სატანა.

ღმერთო, ღმერთო, ვარდი ჩემი
შემარჩინე დაუმზარალი
გულზედ ლახვრად გაეწონოს
ვინც დააქნოს, მის ეკალი.

შ. მღვიმელი.

606

საამდროვო-სასიძღვრო კუპლეტები. *)

1

მეცნიერთა მხნეობამ
გზა მისცა სიყვარულს,
ჩამოდექი ზნეობავ,
ეშველა ერს ტანჯულს
ვხედავ ხალხს თავ-მოყრილსა,
ყველა გუნდრუქს უკმევს.
ერლიხის მოგონილსა
„ექესას-ექესს“.

2

ქალაქი სანაგვეს ჰგავს,
ვერანა გამხდარა
„ღუმას“ კი სძინავს, ხვრინავს
ძილით ვერ გამძღარა,
ამ ჩვენ მძინარა ხმოსნებს
ის გამოაფხიზლებს,
ვინც რომ შეუშხაპუნებს
„ექესას-ექესს“.

3

თუმც იარაღის ტარება
მთავრობამ აკრძალა,
ქალთათვის ამ ბრძანებისა
თურმე არ აქვს ძილა,
ყველა თმაში ატარებს
წვეტიანს შამფურებს
ორს-სამს ადლიან შუბებს
„ექესას-ექესს“.

4

მე ცაში დავეძებდი
კებუროვს ქებულსა,
არ მეგონა ვნახავდი
მიწაზე გდებულსა.

*) მსახიობი ვახო აბაშიძე ამ კუპლეტებს იმღერებს ქართულ თეატრში თავის ბენეფისში—კვირას, 12 დეკემბერს. აბრეთვე იმღერებს პირველ ნომერში დაბეჭდილ კუპლეტებსაც.

ის მიღწევს მიზანსა
თუ შეუშხაპუნებს
თავის აეროპლანსა
„ექესას-ექესს“.

5

ქალაქის გამგეობას
სკირს ნეკრესის ქარი
მკურნალად მიუჩინეს
ეხლა ჯაბადარი
მაგრამ ვერც ის მოაჩვენს
ფეიცავ მაჰმადის წვერს,
თუ არ შეუშხაპუნებს
„ექესას-ექესს“!

6

ძლივს მოგვეცილდა ხოლერა,
ეხლა ჩნდება კირი
ბათუმ-ბაქომ გვიმტერა
გვადგა გასაქირი.
ხატისოვი თავით დაიდევს
და მწამს, კიდევ დასძლევს,
თუ „რგჩს“ ეტყვის თავებებს
„ექესას-ექესს“.

7

ერთხელ რეცენზენტებსა
ტვინში დააქერენ,
რადგან რეცენზიებსა
უთავბოლოთ სწერენ,
ყველა ოხერ-მუტრუკი
რეცენზიას სწერს,
მოდო და ნუ შეასხავ
„ექესას-ექესს“.

8

დაუფიწროვდათ ქალებს
საოცრად... კაბები,
ველარ ადგამენ ფეხებს
„მოდის“ ბრმა მონები.
ქალებს ის მოარჯულებს,
ვინც არ დაიზარებს
მაგრად შეუშხაპუნებს
„ექესას-ექესს“!...

სცენა-სცენისათვის.

სახლი.

იმერელი სახლს იშენებდა და ოსტატებს უთხრა—ყველაფერი თავ-უკულმა გამოკეთეთო. იატაკი ქერის ადგილას, კარ-ფანჯრები გად-მობრუნებული, ერთის სიტყვით ყველაფერი—სახურავი ძირს და ბალაფერი ზევითო...

— იმე, რაფერ მოხდება ბატონო მაქო... სად გაგონილაო!

— მე რო გელაპარაკებოთ, ისე ამიშენებოთ... ეგ ჩემი საქმეა. ცოლს ვთხოვლობ, შამოვა ოჯახში თვარა, ყოლიფერს გადმოატრიალებს და ხელში წალმა აშენებული შემრჩებაო...

თომა პუსა



ნისლი

ნისლს შფაენთქა მთლად გარემო.
მთებში გპოვე,
შველა მთხოვე,—
ჩაგექსოვე.—
ჩემში სცხოვრობ, სატრფოვ-ჩემო!

* *

ჩემს ხმებს მღერი... ვსტკბები მევე
ვიშ, მიხარის!
ნათელ მთვარის
ჰანგი არის...

შემიყვარდი... დამატყვევე.

* *

შენ იცინი? მერე მე რა?
ახ, ნეტაყი
ის ხმა-შავი,
მომხიბლავი

არ გამეგო... არ გემღერა!

ი. გრიშაშვილი.

ივანიკას აზრი ენის შესახებ.

პირველათ ქე რო გაჩდა ქვეყანა, რასაკვირელია, გამევიდა და გაჩდა აუარება ცხოველიც: ორ-ფეხი, ოთხ-ფეხი, დედამიწაზე მოსიარულე და ცაში ფრინავი. ყველაზე უწინ კაცი ქე რო გაჩდა, ამ ცხოველებიდან ბევრი დეიმორჩილა, მოაშინაურა და გოუბატონდა. ზოგს ზრუგზე მოაჯდა, ზოგი უღელში გაქაჩა, ზოგი ყაროულათ დეიყენა, ზოგს კვერცხები დაადებია.. მარა ერთ რამეს ვერაფერი მოუხერხა:—ენას. თვითან კაცი რო ლაპარაკობდა, ძალლი ყფფდა, ძროხა შენ ხარ ჩემი ბატონი, ბლაოდა, კატა კნაოდა, ცხენი ქიხვინობდა, ქათამი კაკანობდა და ასე სულ. აღამიანა ლაპარაკობდა და ერთმანეთისაც ეყურებოდათ, საქამლი ერთათ იყვენ, მარა ქე რო გამრავლდენ—ბინა იცვალეს, ზოგი აღთას წევიდა, ზოგი ბალთას, და მერე, აგერ კაი ხნის მერე, რო თავი მეიყარეს და შეხვდენ ერთმანეთს... იმ... ლაპარაკით ლაპარაკობენ, მარა ერთმანეთის როდი ეყურებათ! ნუყურ, სხვა ბუნებასა და სხვა ჰავას ენის კილოკავიც სხვა მიეცა იმგენისთვის... შეიქნა ალიაქოთი და დეეროენ ერთმანეთს... ატ! შე დურაქო, შენო... ჩემებურათ უნდა ილაპარაკოო... იმე, შე ოჯახ ამობუგულო, აგერ რამდენი ათასი წელიწადია, სულ იმას ყვირი, რომეო კაცი ვარ და ყოველი დანარჩენის ცხოველის ბატონი და ბრძანებელიო—ძალღს ყეფა ვერ გადააჩვიე, ძროხას ბლავილი, კატას კნავილი, ცხენს ქიხვინი, ბატს სისინი და მე, შენს ტოღს, რო შენი ბლიყინი არ მეყურება, მაინც და მაინც გინდა შენს კილოკავზე ამალაპარიკო. მე და შენ გუშინწინ შეხვდეთ ერთმანეთს, შენ დრასტი მითხარი, მე—გამარჯობა, თუ გინდა გასკდი, მე გამარჯობა მირჩენია; მადროვე—დრასტისაც ვისტაველი, მარა გამარჯობას ვერ მომისპობ, თუ არ მომსპობ და თუ მევისპე—ანაპრე შენს საქმესაც და ჩემსასაც.

დ. მესხი.

აკაკისებური,

ფუძღვნი „ილას“.

„აღამ ღობინი გადინადა,
 მოიწვია მეზობლები,
 გარეშენიც ბევრი ჰყვანდა;
 მოლლა, ახუნდ, ტერტერ-მღვდლები.
 უკეთესი მასპინძლობა
 უნდა ვსთქვათ, რომ არ ნახულა,
 იმერულს ღობს და საციგსა
 აშენებდა ტურფა კულა!..
 გადაჰკრეს და საღვებრძელო
 სათითაო გააჩინეს,
 სამადლობელს სავსეს სვამდნენ
 წვეთიც არვის შეარჩინეს.
 შეხალისდა მასპინძელი,
 მოღბენით, რომ სხვებიც ნახა,
 ჩაახველა, ჩაიწმინებნა
 და დაალო გრძნობით ხახა.—
 გაოცებულს თავის სტუმრებს
 მარტო ესეც არ აკმარა,
 სათვითაოდ მისდგა ყველას
 ღბინ-ნადიმი ჩაამწარა.
 აქ ტერტერამ შეუტყბილა
 ამფერ ჩემო მასპინძელო,
 სააჰურად დაჰიკვიკებ
 მქაველო და ტყბილად მსმელო!..
 მაგრამ ახუნდს არ იამა
 წვერ-ცამეტას ქება-ტება,
 უმწიკვინა გვერდში და სთქვა:
 რად მიეცი შენს თავს ნება?—
 განა ქება შეიძლება
 თავ გასული მასპინძლისო?
 შენ ყველაფერს ვადაიტან
 ოღონდ კი რამ სჯამო სხვისო?..
 მაგრამ ღვდელმა გააჩუზა
 უდგილო მხიჯებელი,
 და საბრიყვოთ მიაწოდა
 მას ხელადა ღვინით სველი
 და დასძინა: თუ კი სტუმარს
 შეუძლიან სჯამოს, გასდგეს,
 მასპინძელსაც ნება აქვს— რომ,
 აფურთხოს და ზედაც შესდგეს“.

ხოსო.

გამოცანები

I

სულ ღრიალით გადასთელა
 „ერთ-გაზეთის“ დუქანია,
 კიბრუქ-კბილი ძლიერ შვენის
 შმორიანი ქოთანია...
 „თეთრ-წითელი ვაშლივითა
 ხაშ-ხაშ ლოყა მსუქანია,
 რაც ნახირში გაერია
 არ არის დიდი ხანია“!

II

„ქკვიან კაცთან ქვის ზიღვა სჯობს
 ვინემ ცრუსთან ფლავის ქამას“!
 შენ კი გროზად ქმარსა ჰყიდი,
 სამ-შაურად მშობელ მამას“!

III

ლაჩარია, „ქარაფშუტა“
 „ტარტუფია“, ლობე-მჭერალა,
 „დედის ერთა“—იოთამი,
 სურუ ლაქლაქა, მაჩანჩალა,
 ყველგან ძვრება, მუქათა ძღება,
 დაჭმუტვია თავის ქალა,—
 „და ვინც ამას გამოიცნობს
 ერთი გუდა სიზალალო“!..

გრი-გრი.



ბღთაბ-ბაღთაბ

(ფუძღვნი ზაგიერო პოეტებს).

ახ, ზეცავ, ზეცავ!
 რათ არ დამკეცავ!
 კაქშნის ბალი
 ზეცისა თალი
 ერთს ისეთს გდრუზ ვ
 დაგაჩნდეს დალი.

2903
1910

მიყვარს სუმბული,
ბატის ბუმბული
და დაეასკუპე
ნეხეზე ბულბული...
ოხ, ნისლი, ნისლი...



ცხვირით მდის სისხლი
ზამზახს რად მიშლი,
ვიკენეტავ ტუჩებს,
დავრბივარ ხელად,
მსურს ყვავილები
გავსრისო ხელად.
ეი! ძმობილო,
ნაგავს რომ ხვეტავ,
რას ფიქრობ ნეტავ?
მაგვარ კრიტიკას
შენ ვის უბედავ—
ნუ თუ არ მხედავ?

...
თავი ამტკივდა
ოხ, დედავ, დედავ!

ტიმოთეს ლელვი.



ვაჟი — (ცრემლ-მორეული) შენს მზეს
ეფიცავ ლიზიკო—არასოდეს დაგივიწყებ „პა-
ტეშნი როტას“ რომ გავათავებ მეორე უსა-
თჯოთ ჯვარს დავიწერ... ღმერთმანი!..

ქალი—(გაბრუნებული) ჰო მაშ არა...
ყველა კაცები ვგეტები ხართ... თუ „პატეშნი
როტაში“ შესვლას აპირებდი, მაშ პირობას
რად მაძლევდი... არა გცხვენია?..

ვაჟი—მეცა მწყინს, მაგრამ რა ვუყოთ,
გეთაყვა როცა სამხედრო ფინშე შევიქნები
მაშინ უფრო შეგიყვარდები...

ქალი—ღმერთმანი, კოლია, თუ შენ
შენს სულელურ განზრახვაზე ხელს არ აიღებ
იკოდე, რომ ან კოკის ხიდიდან ვისკუბებ...
ან ელოდიას შევიყვარებ, ან არა და ავღგე-
ბი და შენს ჯიბრზე მეც ჩავეწერები „პატეშ-
ნი როტაში“.

ვაჟი—??!??



კაცი. თქვენს ჩანგალს ვერაფერი მსუქა-
ნი თევზი მოხვდა.

ქალი. ნუ სწუხართ, არც თქვენს ჩან-
გალს მოხვდება ~~კარგო თევზი~~ **ხუჩქილი**



Росси
Росси

Д. № 60; кб. 15. Аспраншбу. А. З.

3903
1910

Заказная - дангероль.


Зруз. ССР

г. Мобиле

№. Руставели, 9

Бришайвиль

Ленинград, В.О, Лав лесная^{56/14}
д. №60; кв. 15 Администрация А.З.



Вручить
у